ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All

unicef
თითოეული ბავშვისთვის

ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში

დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის

დაასრულე ძალადობა

პუბლიკაცია მომზადებულია სოციალური ნორმების ცვლილებისაკენ მიმართული საკომუნიკაციო კამპანია „დაასრულე ძალადობა“ ფარგლებში, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ხორციელდება და რომლის მიზანია საზოგადოებრივი დიალოგის პროცესის ინიცირება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ. კამპანია ხორციელდება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი არ ასახავს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

@ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018 წელი

შინაარსი

შესავალი

ძალადობა და მისი სახეები

ბულინგი

ძალადობრივი აღზრდის შედეგები

მასწავლებლის მოვალეობა წვლილი შეიტანოს ძალადობის შემცირებაში

აღზრდის პოზიტიური მეთოდები

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

თემა 1

ძალადობის სახეები. ძალადობა დანაშაულია

თემა 2

დასჯისადმი დამოკიდებულება და დასჯის ალტერნატივა

თემა 3

ბულინგი. ქცევა ძალადობის შემთხვევაში

თემა 4

ვინ შეიძლება დაიცვას ბავშვი ძალადობისგან?

თემა 5

კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ბავშვთა მიმართ ძალადობა მწვავე პრობლემაა მთელ მსოფლიოში. ამ საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის 2005 წლის კვლევა მიეძღვნა. მასში მსოფლიოს მასშტაბით ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა ეფუძნებოდა კონცეფციას, რომ ნებისმიერ ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ძალადობისგან. ეს უფლება განსაზღვრულია ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლში:

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ბავშვის მიმართ ძალადობა ხდება პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, განურჩევლად კულტურისა, ეთნიკური კუთვნილებისა ან წარმომავლობისა. მნიშვნელობა არა აქვს განათლებული ოჯახიდან არის ბავშვი თუ არა, მდიდარია თუ ღარიბი.[1]

კვლევაში მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფოებისათვის ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით.

საქართველოში სხვადასხვა დროს რამდენიმე კვლევა ჩატარდა: „ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა "(2007-2008 წ.წ) და „ეროვნული კვლევა სკოლებში ძალადობის შესახებ", რომელშიც აისახა ბავშვთა მიმართ ძალადობის დონე; 2013 წლის გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ", რომელიც შეისწავლიდა ძალადობის საკითხებზე ფართო საზოგადოებაში გავრცელებულ დამოკიდებულებასა და ბავშვზე ზრუნვის სისტემაში მომუშავე პროფესიონალების ცოდნას მიმართვიანობის პროცედურების ფუნქციონირების შესახებ.

[1] ძალადობა ბავშვების მიმართ - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა, ადაპტირებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

შესავალი

2017 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრმა ჩაატარა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის“ მონიტორინგი. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60% ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა. საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ოჯახური ძალადობა ბავშვის მიმართ ოჯახის შიდა საქმეა და მასში ჩარევის წინააღმდეგია. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გადაწყვეტს ჩაერიოს, მან არ იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ამ მხრივ, მდგომარეობა საგანგაშოდ იქნა შეფასებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეები განიცდიან ძალადობას იქ, სადაც თავს დაცულად უნდა გრძნობდნენ - სასწავლო დაწესებულებასა და ოჯახში. ძალზე ხშირია ძალადობა მოსწავლეებს შორის.
კვლევათა ანგარიშებში მოცემულია რეკომენდაციებიც.
წინამდებარე მასალა საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაიაზრონ ძალადობრივი აღზრდის შედეგები, დაინახონ პოზიტიური აღზრდის უპირატესობები, გაეცნონ კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივ გზებს და ჩაატარონ მოსწავლეებთან გაკვეთილები (შეხვედრები), რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს არაძალადობრივი მეთოდების უპირატესობაზე კონფლიქტურთან შედარებით.

ძალადობა და მისი სახეები

ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლება.
ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, ილახება მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება, რომლებიც ადამიანის განუყოფელი უფლებებია.
ძალადობა შეიძლება იყოს **ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური, ძალადობაა აგრეთვე იძულება და უგულებელყოფა.**
თითოეული მათგანი სხვადასხვა ფორმით შეძლება გამოიხატოს:

ფიზიკური ძალადობა: ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ძალადობა და მისი სახეები

ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.
ეკონომიკური ძალადობა: ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებებით სარგებლობის, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.
სექსუალური ძალადობა: სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.
იძულება: ნებისმიერი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალდატანება, რომ პირმა გააკეთოს ან არ გააკეთოს ის, რისი გაკეთება ან გაკეთებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, აგრეთვე ძალდატანება, რომ პირმა განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.
უგულებელყოფა: მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების არ დაკმაყოფილება, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან არ დაცვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების არ განხორციელება მაშინ, როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.
ხშირად, საზოგადოების წევრები ძალადობად არ მიიჩნევენ წამორტყმას, ხელის კვრას, ყურის აწევას, თმის მოქაჩვას, ბულინგსაც კი, მაშინ როცა ეს არა მარტო ფიზიკური ძალადობა, არამედ შეურაცხმყოფელი მოქმედებაც არის.

ბულინგს ბევრი განმარტება აქვს. დღეს მიღებულია როლანდის (Roland, 1988) განმარტება, რომლის თანახმადაც, ბულინგი არის ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა სხვა ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში.

ბულინგისათვის დამახასიათებელია:

– ძალთა ასიმეტრია

– განმეორებადობა

– განზრახ, მიზანმიმართული ძალადობა

არსებობს ბულინგის სამი ტიპი:
ემოციური, სიტყვიერი და ფიზიკური

ბულინგისათვის დამახასიათებელი ქცევებია: დამამცირებელი ზედმეტი სახელების დარქმევა, დაცინვა, ჯგუფიდან გარიყვა, უცენზურო სიტყვების დაწერა, ნივთების ან ფორმის წართმევა, წერილობითი და სიტყვიერი შეურაცხყოფა, საერთო საქმიანობიდან გარიყვა, მუქარა, დაშინება, ხელის კვრა, მუშტებით ან ფეხით ცემა, ცილისწამება, მსხვერპლის უხერხულ, არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაგდება, იძულება, რომ იმოქმედოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.
ასხვავებენ ბულინგის სხვადასხვა სახეს:

- კიბერბულინგი
- ემოციური ბულინგი
- სატელევიზიო ბულინგი
- სიტყვიერი ბულინგი
- ჯგუფური ძალადობა
- სხეულის ენით ბულინგი
- სექსუალური ბულინგი
- ფიზიკური ბულინგი

განიხილება ბულინგის მონაწილე სამი მხარე: მოძალადე (ბულერი), მსხვერპლი და მოწმეები.
ბულინგის მსხვერპლი ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს, მაგრამ რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები რისკის ჯგუფში არიან. „მსხვერპლად“ ჩაგრულებს მოვიხსენიებთ, მაგრამ, რეალურად, სამივე მხარე მსხვერპლია, რადგან ბულინგი თავის დაღს ყველას ასვამს. მოწმე სამი კატეგორიის გვხვდება: ის, ვინც ემხრობა ბულერს, მაგრამ არ მოქმედებს, ის, ვინც ნეიტრალურია და არაფრად ენაღვლება მომხდარი, ის, ვინც ემხრობა მსხვერპლს, მაგრამ ეშინია ან არ იცის როგორ მოიქცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კიბერბულინგის გამოვლენა, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიის: ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების, ვებგვერდებისა და სხვათა გამოყენებით ხდება, განსაკუთრებით რთულია და ამიტომ ხშირად გაუხმაურებელი რჩება, რადგან ნაკლებია მშობლებისა და ინსტიტუციების ზედამხედველობა. ამასთანავე, მოძალადეს შეუძლია ანონიმურად იურთიერთოს მსხვერპლთან.
ეს ბულინგის საკმაოდ უსიამოვნო და საშიში ფორმა გახლავთ. სოციალურ ქსელებში ჭორის, დეზინფორმაციის, ადამიანზე გამუდმებით ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება ბულინგის ერთ-ერთი საკმაოდ უსიამოვნო სახეა.

ძალადობრივი აღზრდის შედეგები

აღზრდისას მშობლები და მასწავლებლები უმეტესად იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ რას ეუბნებიან ბავშვებს და მიუთითებენ, როგორ უნდა მოიქცნენ. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ბავშვებზე მშობლების ქცევას მეტი გავლენა აქვს. ბავშვები უფროსებისაგან ქცევის მაგალითს იღებენ. უფროსების დამოკიდებულების შესაბამისად, ბავშვს უყალიბდება თვითშეფასება, საკუთარი თავის აღქმა და ქცევის სტილი.

ძალადობრივია აღზრდა, როდესაც ბავშვი დათრგუნვილია, მისი გრძნობები და სურვილები იგნორირებულია ან გაუფასურებული, მას თავს ახვევენ გარკვეული ქცევის მოდელს. ჩვეულებრივ, ასეთი აღზრდა ემყარება ბევრ მკაცრ წესსა და ცნებას, ბევრ სასჯელს და ძალიან მცირე რაოდენობით წახალისებას, რადგან დოგმები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ვიდრე ბავშვის გრძნობები და მოთხოვნილებები.

ძალადობრივი აღზრდისას ბავშვი თავს შეურაცხყოფილად და მიტოვებულად გრძნობს. დასჯა იწვევს ბავშვში უკმაყოფილების, შურისძიების, აჯანყების სურვილს, უქვეითებს მოტივაციას.

სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ძალადობა უკვალოდ არ ქრება და შედეგად ხშირად ვიღებთ: ჯანმრთელობის პრობლემებს, მაგალითად, ცვლილებებს აზროვნების განვითარებაში, დაზიანებებს, კონტუზიასა და იარებს; სწავლაში ჩამორჩენას; სხვა ადამიანებთან შეუგუებლობას; საკუთარი გრძნობების სხვებისათვის გასაგები ფორმით გადმოცემის გაძნელებას; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, მათ შორის, შფოთვას, დეპრესიას, აგრესიას ან თვითმკვლელობის მცდელობასაც კი; მომავლის შიშს; დაბალი თვითშეფასების განვითარებას. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, ეძალებიან ალკოჰოლს, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას, უმეტეს შემთხვევაში, თავადაც ხდებიან მოძალადენი (ახდენენ რა თავისი თავის იდენტიფიცირებას მოძალადესთან). ხშირია ძალადობის შედეგად ბავშვთა სიკვდილიანობა სკოლამდელ ასაკში.

ძალადობრივი აღზრდა არის ბავშვის უფლებების დარღვევა, ბავშვთა უფლებების აღიარებით კი საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ცნო, რომ ბავშვები შეადგენენ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.

სკოლა ის გარემოა, სადაც მოსწავლემ თავი დაცულად უნდა იგრძნოს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს უზრუნველყოს ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრას ძალადობა ეჭვის გაჩენის შემთხვევაში.
საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტში ასახულია მასწავლებლისა და სკოლის უფლება-მოვალეობანი ამ მხრივ.
„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებაში[2] ჩამოთვლილია ყველა ის დაწესებულება, რომელიც ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები ბავშვებზე ძალადობის პრევენციის ან ძალადობის აღმოფხვრისათვის და გაწერილია მათი ფუნქციები. აღწერილია როგორც ის ნიშნები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვის მიტანა, ისე შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას. ქვემოთ მოყვანილია ამონარიდები შესაბამისი პროცედურების დოკუმენტიდან:

მუხლი 5. რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი

...საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანდატურის სამსახური, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები, თავშესაფრები, მათი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებულნი არიან, სააგენტოსთან თანამშრომლობით აწარმოონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

1. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ამ რეფერირების პროცედურების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ყველა დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება.
2. საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სასჯელაღსრულებისადაპრობაციის,საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, პოლიციის, სააგენტოს, საბავშვო ბაღების, მანდატურის სამსახურის, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების, თავშესაფრების, სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) და მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - მუნიციპალიტეტის რაიონის

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478

გამგეობის) მათი უფლებამოსილი დაწესებულების, სსიპ -დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა, რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებსა და შესაბამისი შიდა ინსტრუქციების მიხედვით.
3. მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის) უფლებამოსილი თანამშრომელი ან მათი უფლებამოსილი დაწესებულების თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მცხოვრები პირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესში, შეისწავლის ბავშვების მდგომარეობას და ახდენს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებას დასამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, სავალდებულო წესით აგზავნის შეტყობინებას სააგენტოსა და პოლიციაში.
4. ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);
ბ) ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);
გ) ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არარის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;
ე) ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;
ვ) ასაკის შეუფერებლად დროს ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;
ზ) ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;
თ) ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);
ი) ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურებას;

კ) ბავშვის სათამაშოები, საწოლი, ტანისამოსი ან სხვა ნივთები აღმოჩენილია შეუფერებელ ადგილებში (მათ შორის, ქარხანა ან/და სხვ.), ადამიანით ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისათვის) რისკის შემცველ დაწესებულებებში;
ლ) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე.
5. ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებების უფლებამოსილი პირები აწარმოებენ ფაქტის შესწავლას, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.
6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები (გარდა პოლიციისა), ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, ვალდებულნი არიან, შეავსონ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ვალდებულნი არიან ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინონ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით.
7. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაამტკიცონ ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები.

მუხლი 20. ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა
ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი

მუხლი 1726. ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა.
საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

მასწავლებლის მოვალეობა წვლილი შეიტანოს ძალადობის შემცირებაში

სკოლებში არსებობს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია (იხ. დანართი).
მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა გამორიცხოს ყოველგვარი ძალადობა თავისი მხრიდან და მისცეს მოსწავლეებს არაძალადობრივი ქცევის მაგალითი.
ძალადობის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ურთიერთობა თანამშრომლობაზე დაამყაროს, მოიპოვოს მათი ნდობა, რათა ბავშვებს არ ჰქონდეთ დასჯის შიში და თამამად მიმართონ მას დასახმარებლად.
ძალადობის დაძლევაში აუცილებელია ზოგადად სკოლაში შექმნას თანამშრომლობის გარემო. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლის თანამშრომლობა მშობლებთან, რაც ყოველთვის ადვილი არ არის.
მასწავლებელი უნდა მოერიდოს მშობლებთან დაპირისპირებას.
მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა (როგორც ყველა სხვა ურთიერთობა) ორივე მხარისაგან გარკვეული ნორმების დაცვას მოითხოვს. უპირველესად, ეს არის ურთიერთპატივისცემა და ნდობა. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა დაიცვას ეთიკური ნორმები და მაგალითი მისცეს ისეთ მშობელსაც კი, რომელსაც ეს უჭირს. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მშობელს იმის გაცნობიერებაში, რომ მხარეები ავსებენ ერთმანეთის ინფორმაციას მოსწავლის შესახებ და მისი ქცევის ანალიზით შინ და სკოლაში საშუალება ეძლევათ დაეხმარონ მოსწავლეს ქცევის სწორი სტილის გამომუშავებაში. ორივე მხარე უნდა აცნობიერებდეს, რომ ინფორმაცია მოსწავლის შესახებ კონფიდენციალურია.
პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მასწავლებელი მშობლებთან, უმეტესწილად, მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრების ან ცუდი ყოფაქცევის გამო ურთიერთობს. მასწავლებელსა და მშობელს შორის ურთიერთობა გაიოლდება, თუ მასწავლებელი მშობელს კარგ ამბავსაც შეატყობინებს ხოლმე (როგორ კარგად მოიქცა მისი შვილი, ან რა თქვა საინტერესო). მშობლების ჩაბმა კლასგარეშე აქტივობებში აუმჯობესებს არა მარტო მასწავლებლისა და მშობლის, არამედ მოსწავლისა და მშობლის ურთიერთობასაც. ზოგჯერ მშობელი შეიძლება მხოლოდ მაყურებლის (მაგალითად, ფეხბურთის მატჩის) როლშიც კი იყოს. ეს ყველაფერი არ უნდა ხდებოდეს იძულებით.

აღზრდის პოზიტიური მეთოდები

პოზიტიური აღზრდა გულისხმობს უარის თქმას ავტორიტარიზმზე, ემოციებისთვის ყურადღების მიქცევას, საჭიროებების გამოვლენას, კონფლიქტების მართვის სწავლებას „მოგება-წაგების“ გარეშე, თანამშრომლობას.
პოზიტიური აღზრდა ეფუძნება ბავშვის პატივისცემას – ის პიროვნებაა, მაგრამ უფრო ფაქიზი, ვიდრე ზრდასრული ადამიანი და ნაკლები გამოცდილების მქონე. ასეთი აღზრდა დამყარებულია ნდობაზე და არა ბავშვის შერცხვენასა და მიტოვებულობის განცდაზე. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ უფროსებს სჯერათ მისი შესაძლებლობების.
არაძალადობრივია აღზრდა, რომლის დროსაც ბავშვს პატივს სცემენ როგორც პიროვნებას, რომელსაც აქვს უფლებები და რომელიც იმსახურებს ფაქიზ და ყურადღებიან დამოკიდებულებას. უფროსები ესაუბრებიან ბავშვებს და უზიარებენ თავიანთ ხედვას, თანამშრომლობენ ბავშვთან და არ აიძულებენ, ინტერესდებიან ბავშვის აზრით და ცდილობენ დაეხმარონ.

აღზრდის პოზიტიური მეთოდები

პოზიტიური აღზრდის სინონიმებად ლიტერატურაში გვხვდება „არაძალადობრივი აღზრდა“ და „პოზიტიური დისციპლინა“. პოზიტიური აღზრდა არ ნიშნავს ყველაფრის დაშვებას და ნების დართვას.
აღზრდას უნდა ჰქონდეს ჩარჩო და წესები, მაგრამ ძალადობრივი აღზრდის შემთხვევაში ისინი ბრმად ინერგება, მაშინ, როცა არაძალადობრივი აღზრდის წესები მარტივია და ბავშვისათვის გასაგები.
თუ უფროსები ერთმანეთსა და ბავშვებს პატივისცემით ეპყრობიან, ისინი პოზიტიურ მაგალითს აძლევენ ბავშვებს, რომლებიც, თავის მხრივ, იმეორებენ ასეთ ქცევას.
პოზიტიური აღზრდა გულისხმობს ყურადღების გამახვილებას ბავშვის პოტენციალსა და კარგ ქცევაზე, მის წახალისებას დადებითი თვისებების განსავითარებლად. პედაგოგის ქმედებები მიმართულია არა დასჯის, არამედ პრობლემის გადაჭრისაკენ. მოსწავლის დასჯას მოკლევადიანი შედეგი აქვს, ხოლო პოზიტიური აღზრდა ხანგრძლივი პროცესია და გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევაზე.
დასჯა იწვევს ბავშვის უკმაყოფილებას, აღვიძებს შურისძიების, აჯანყების სურვილს და აქვეითებს მის მოტივაციას.
პოზიტიური აღზრდაც გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. ის არ გულისხმობს ბავშვისათვის ყველაფრის უფლების მიცემას, მის ქება-დიდებას, არამედ მხარდაჭერას და დახმარებას რთულ სიტუაციაში.

მაგალითები

სიტუაცია: მოსწავლეს არ აქვს შესრულებული საშინაო დავალება.

1	**მასწავლებელი: „უკვე მესამედ არა გაქვს დავალება. პირველ ორ შემთხვევაში გაპატიე, ახლა კი ეს შენს შეფასებაზე აისახება.“ მოსწავლემ არაფერი უპასუხა.**
2	**მასწავლებელმა არაფერი უთხრა მოსწავლეს გაკვეთილზე. გაკვეთილის შემდეგ პირისპირ დაელაპარაკა და შესთავაზა დარჩენა გაკვეთილების შემდეგ, რათა ერთად გარკვეულიყვნენ დავალებაში. ასეც მოიქცნენ. გაუგებარი საკითხები ამოწურეს და ახალი დავალება მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულა.**
3	**მასწავლებელმა არაფერი უთხრა მოსწავლეს გაკვეთილზე. გაკვეთილის შემდეგ პირისპირ დაელაპარაკა და შესთავაზა დარჩენა გაკვეთილების შემდეგ, რათა ერთად გარკვეულიყვნენ დავალებაში. მოსწავლე: „ვერ დავრჩები.“ მასწავლებელი: „რატომ? სად მიდიხარ?“ მოსწავლე: „სახლში მივდივარ, მაგრამ ვერ დავრჩები.“ მასწავლებელი: „რაიმე გადაუდებელი საქმე გაქვს?“ მოსწავლე: „დიახ. დედა ავად არის. სახლში უნდა მივიდე.“ მასწავლებელი: „კარგი, მოგვიანებით შემოგივლი ან skype თუ გაქვს, საღამოს ჩართე და დავალება განვიხილოთ.”**

პირველ მაგალითში მოსწავლე ისჯება დავალების შეუსრულებლობის გამო. არავინ იცის მიზეზი და არ არის გამორიცხული, რომ მოსწავლემ მომავალშიც ვერ შეძლოს დავალების შესრულება. ხშირად მოსწავლეები არ აღიარებენ მიზეზს (რომ ვერ გაიგო მასალა ან ოჯახური პირობები აქვს მძიმე).

მეორე მაგალითში მასწავლებელი არაფერს ეუბნება მოსწავლეს თანაკლასელების წინაშე და ცდილობს დაეხმაროს მას.

მესამე მაგალითში მოსწავლის მდგომარეობა სცდება მასალის ვერ გაგების ფარგლებს და უფრო რთულია. მასწავლებელი ცდილობს გაერკვეს პრობლემაში და ეძებს მისი გადაჭრის გზებს.

წახალისება თუ შექება

წახალისებისას მოსწავლეს ესმის, რომ აფასებენ მის მოქმედებას და არა თავად მას. წახალისება საშუალებაა, რომ მოსწავლემ გაიგოს: შეცდომა კიდევ ერთი პირობაა განვითარებისათვის და არა დანაშაული. ქვემოთ მოყვანილია შექებისა და წახალისების მაგალითები:

წახალისება	შექება
მადლობას გიხდი დახმარებისათვის!	რა კარგი ბიჭი ხარ!
კარგად შეგისრულებია!	კარგი გოგო ხარ!
შენ მართლაც მიაღწიე მიზანს!	სწორად გაგიკეთებია!
ჩემთვის ძალიან ძვირფასია შენი დახმარება!	მომწონს როგორც იქცევი!

აღზრდის პოზიტიური მეთოდები

პრაქტიკაში ცნობილია კლასში გამოსაყენებელი პოზიტიური აღზრდის არაერთი ტექნიკა. მათ შორისაა:

- კლასში ქცევის წესების ჩამოყალიბება მოსწავლეებთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში;
- მოლოდინის შეთანხმება მოსწავლეებთან;
- მოსწავლეთა შორის კონფლიქტურ სიტუაციებში მასწავლებლის მიერ ნეიტრალობის დაცვა;
- მოსწავლის მიუღებელი ქცევის მიზეზის დადგენა;
- მოსწავლის ღირსების დაცვა;
- წახალისების გამოყენება;
- მისაღები ქცევის მაგალითის მიცემა მოსწავლეებისათვის;
- მოსწავლეებისათვის არჩევის საშუალების მიცემა.

არაძალადობრივი აღზრდის პირობებში ბუნებრივი და ეფექტიანია ბავშვებისათვის კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზების სწავლება. პრობლემის გადაჭრისას მხარეებს განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ, ესენია: მიზნის მიღწევა და მეორე მხარესთან ურთიერთობის დარეგულირება.
ასაკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბავშვისათვის მთავარი მიზნის მიღწევა იყოს, მაგრამ არააგრესიულ გარემოში ბავშვისთვის არც ურთიერთობაზე ზრუნვა არის უცხო. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა პატარაობიდან იცოდნენ, რომ ყველა ქმედებას აქვს წესი და გარკვეული ჩარჩო. სწორედ ამ წესების დაცვა ემსახურება დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარებას.

კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებია:

1. **გაცლა**
2. **შეგუება**
3. **კომპრომისი**
4. **კონკურენცია**
5. **თანამშრომლობა**

უნივერსალური სტრატეგია არ არსებობს. ნებისმიერ მათგანს დადებითი მხარეც აქვს და გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. რომელიმეს არჩევა კონფლიქტის მხარის მიზანზეა დამოკიდებული.



გაცლა

მიზანშეწონილია შემთხვევითი კონფლიქტის დროს უცნობებთან, როდესაც ადამიანი ნაკლებად ზრუნავს ურთიერთობაზე და ასევე ნაკლებად აინტერესებს საქმე. ამ სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს საკუთარი და სხვა მხარის ინტერესების იგნორირებას.

შეგუება

მიზანშეწონილია, როცა ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა და ნაკლებად მნიშვნელოვანია საქმე, ოჯახში ამ სტრატეგიის გამოყენება ეფექტიანია, რადგან აქ ურთიერთობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია. ამ სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს მეორე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას საკუთარი ინტერესების უკუგდების შედეგად.

კომპრომისი

უმჯობესია, როდესაც შესაძლებელია დათმობა (ნაწილობრივი) როგორც საქმის, ისე ურთიერთობის მხრივ. მაგალითად, ვაჭრობისას, როდესაც მხარეებს აქვთ საწყისი პოზიცია (ფასი), ორივე ნაწილობრივ თმობს და მიიღწევა კიდეც დამაკმაყოფილებელი შედეგი. ამ სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს შუალედური პოზიციის დაჭერას, ორივე მხარე თმობს. არც ერთი მხარის ინტერესი არ კმაყოფილდება სრულად. კომპრომისის სტრატეგია ბევრ სხვა სიტუაციაშიც ეფექტიანია.

თანამშრომლობა

ამ სტრატეგიის გამოყენებისას შესაძლებელია მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა როგორც საქმეში, ისე პარტნიორთან ურთიერთობაში; ამ სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს ორი ან მეტი მხარის ინტერესის დაკმაყოფილებას, ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მოძიებას. ცხადია, რომ არის სიტუაციები, სადაც მისი გამოყენება ვერ

მეთოდები, რომლებიც კონფლიქტის მოსაგვარებლად გამოიყენება

მოლაპარაკება

ისეთი პროცესია, როდესაც პრობლემის ურთიერთხელსაყრელად გადასაწყვეტად ორი ან მეტი მხარე იყრის თავს.

შუამავლობა

არის ნეიტრალიტეტის პრინციპზე დაფუძნებული პროცესი, რომელშიც მესამე მხარე ცდილობს პრობლემების კონსტრუქციულად განხილვის უზრუნველყოფას, ეხმარება მხარეებს შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლაში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება კონფლიქტში ჩაბმულმა მხარეებმა უნდა მიიღონ.

სახალხო დიპლომატია

გამოიყენება ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური კონფლიქტების დროს. ის არ გამოიყენება ინდივიდების კონფლიქტის შემთხვევაში. მისი მიდგომა დაფუძნებულია იმ დებულებაზე, რომ გაერთიანებებსა და ჯგუფებს შორის კონფლიქტი უმთავრესად მათ შორის არსებული გაუგებრობისა და ერთიმეორის არასწორად აღქმის შედეგია. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია სხვადასხვა არაფორმალური შეხვედრის ორგანიზება საზოგადოების ჯგუფებს შორის.

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

თემა 1

ძალადობის სახეები. ძალადობა დანაშაულია

მიზანი

მოსწავლეებისათვის ძალადობის სახეებისა და ფორმების გაცნობა. ძალადობის, როგორც დანაშაულის აღქმის ხელშეწყობა.

რეკომენდებულია გაკვეთილის ჩატარება დისკუსიის ფორმით. სასურველია, რომ მოსწავლეები ისხდნენ ნახევარწრედ ან წრეში ისე, რომ ერთმანეთს ხედავდნენ. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს, შეახსენებს დისკუსიის წესებს:

- მონაწილეები უსმენენ ერთმანეთს;
- მონაწილეები ისმენენ ყველას აზრს;
- მონაწილეები საუბრობენ მას შემდეგ, რაც წამყვანი (მასწავლებელი) აძლევს სიტყვას;
- მონაწილეები თავაზიანად ეპყრობიან ერთმანეთს;
- მონაწილეები ცდილობენ გაამყარონ თავისი აზრი არგუმენტებით.

შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

- საიდან მოდის სიტყვა „ძალადობა“?
- მაშასადამე, რას ნიშნავს „ძალადობა“?

ჩამოთვალეთ ძალადობის მაგალითები:
1.
2.
3.
.....
მასწავლებელი განმარტავს ძალადობას: ძალადობა ხდება მაშინ, როდესაც პირი იყენებს თავის ძალას ან მდგომარეობას, რათა წინასწარი განზრახვით, და არა შემთხვევით, ზიანი მიაყენოს სხვა პირს.
შეკითხვა:
- თქვენ თვალწინ რომ ხდებოდეს ძალადობა, რა განცდა დაგეუფლებოდათ? ჩამოწერეთ ფერად ბარათებზე და მიაკარით დაფაზე შესაბამისი მაგალითის გასწვრივ (ბარათები უნდა იყოს ანონიმური, დაწერილი ერთი ფერის ქაღალდის ფურცლებზე).

მასწავლებელი აჯგუფებს მაგალითებს ძალადობის სახეების მიხედვით (ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება და უგულებელყოფა) და მიაკრავს შესაბამის ფერად ბარათებს თითოეული სახეობის გასწვრივ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეძლებისდაგვარად მოიფიქრონ ძალადობის თითოეული სახეობის კიდევ რა ფორმები არსებობს და წერს შესაბამისი სახეობის ქვეშ. თუ პასუხები არასრულია, მასწავლებელი ავსებს მათ და წერს დაფაზე გარკვევით.
შეკითხვა:
- ვისგან განიცდის ბავშვი ძალადობას ჩვენს საზოგადოებაში?
- რა ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული ეს ძალადობა? მოიყვანეთ მაგალითები.

დაფაზე იწერება: ოჯახის წევრები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მანდატური, სხვა ბავშვები, ნათესავები, მეზობლები და სხვ. თითოეულის ქვეშ იწერება ძალადობის ფორმები. რა შედეგები მოაქვს ძალადობას? განიხილება ცალ-ცალკე.
- ბავშვის მიმართ ძალადობის რა ფორმებს მიმართავენ?
- რა უფლებები ირღვევა ძალადობის შედეგად? (პასუხი: ძალადობისგან დაცვის).

მოსწავლის წიგნში მოცემულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის ტექსტის ადაპტირებული ვარიანტი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ ეს ტექსტი: „ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას (საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და ა.შ.) მიმართავენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი წარმომადგენლის[3] ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით. ეს ზომები გულისხმობს შესაბამისი დებულებების შეტანას კანონებში, მოსახლეობის ინფორმირებას როგორც ბავშვთა უფლებების, ისე და ძალადობისგან მათი დაცვის თაობაზე და სხვა.“

შეკითხვა:

- რაზე მეტყველებს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-19 მუხლი? (მოსწავლეების ყურადღება უნდა მიექცეს საკანონმდებლო ღონისძიებებს. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ძალადობა ისჯება.)

შეკითხვა:

- ვის შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ბავშვზე განხორციელებული ძალადობისათვის?

ამ კითხვის დასმის აუცილებლობა გამოწვეულია გავრცელებული არასწორი მოსაზრებით, რომ ბავშვი მშობელს ეკუთვნის და როგორც უნდა, ისე მოექცევა.

თემა 2
დასჯისადმი დამოკიდებულება
და დასჯის ალტერნატივა

მიზანი

მოსწავლეთა დაფიქრება დასჯის ალტერნატიულ ქმედებებსა და მათ ეფექტიანობაზე.
სასურველია კლასის ორგანიზება ჯგუფური მუშაობისთვის.
მოცემულ თემაზე სამუშაოდ რეკომენდებულია როლური თამაშის მეთოდის გამოყენება.
მცირერიცხოვან კლასებში თითო მოსწავლეს რამდენიმე როლი შეხვდება.
მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს. ამავე დროს, ეუბნება, რომ როლური თამაშის ფორმით იმუშავებენ.

[3] კანონიერი წარმომადგენელი – არასრულწლოვანის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვანის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს სიტუაციას: დათო მე-10 კლასში სწავლობს. ის ბევრ დროს ანდომებს კომპიუტერულ თამაშს. სკოლიდან შინ მოსვლის შემდეგ სხვას არაფერს აკეთებს და გვიანობამდე თამაშობს. მიუხედავად მშობლების საყვედურისა, დათო თამაშს განაგრძობს. ერთ საღამოს სახლში დაბრუნებულმა მშობლებმა გადაწყვიტეს დათოს დასჯა და ჩამოართვეს კომპიუტერი, გარდა ამისა, აუკრძალეს საღამოობით სახლიდან გასვლა გასართობად, რათა სწავლაში ჩამორჩენა დაძლიოს.

ამ ტექსტს მასწავლებელი ორჯერ კითხულობს.

მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეს, რომელიც თანხმდება შეასრულოს დათოს როლი. დანარჩენ მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად.

დავალება პირველი ჯგუფისათვის:

მოიფიქრეთ, რატომ მოიქცნენ მშობლები ასე, რა ამოძრავებდა მათ. ჯგუფის ორმა წევრმა უნდა განასახიეროს დათოს მშობლები, თუ როგორ წარმოუდგენიათ მშობლების სახლში დაბრუნების სცენა დათოს მონაწილეობით. ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა უნდა ახსნან მშობლების პოზიცია.

დავალება მეორე და მესამე ჯგუფებისათვის:

მოიფიქრეთ მშობლების განსხვავებული ქმედება (არა დასჯაზე, არამედ დადებით და ეფექტიან ქმედებებზე ორიენტირებული). თითოეული ჯგუფის ორ-ორმა წევრმა უნდა განასახიეროს დათოს მშობელის ქცევა, ხოლო ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა უნდა ახსნან მშობლების პოზიცია.

დავალება დანარჩენი ჯგუფებისათვის:

წარმოდგენის ნახვამდე მოიფიქრეთ, რას დააკვირდებით მისი მსვლელობის დროს, ხოლო დასრულების შემდეგ გააანალიზეთ და შეაფასეთ ნანახი (იგულისხმება ქმედების შინაარსი და ფორმა და არა სამსახიობო ოსტატობა).

დავალება დათოს:

შეასრულე დათოს როლი ისე, როგორც მიგაჩნია საჭიროდ. განსაზღვრე, რამდენად სამართლიანია მშობლების მოთხოვნა. გააანალიზე ყველა ჯგუფის მშობელთა ქცევა და უპასუხე შეკითხვას, რომელი მოქმედება იქნებოდა ყველაზე შედეგიანი, რეალურად რომ ყოფილიყავი დათოს მდგომარეობაში?

ყველა ჯგუფის გამოსვლის შემდეგ საკუთარ აზრს გამოთქვამს დათო.

ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სიტუაციების განხილვის შემდეგ მასწავლებელმა უნდა იკითხოს (იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა თვითონ არ აღნიშნეს), არის თუ არა ეს სიტუაცია ძალადობის მაგალითი და თუ არის, რა სახის ძალადობაა ეს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები მივიდნენ დასჯის ალტერნატიული (პოზიტიური ქმედების) ვარიანტის უპირატესობამდე. მასწავლებელმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ სხვა კონფლიქტების (მაგალითად, ბავშვებს შორის) გადაჭრაც შეიძლება არაძალადობრივი გზით.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლეები საუბრობენ იმ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობა შეიძლება შეიცვალოს სხვა ქმედებით. მასწავლებელმა უნდა სცადოს გადაიყვანოს მსჯელობა ბავშვთა შორის ძალადობის შემთხვევის ირგვლივ.

შეკითხვა:

- როგორ ფიქრობთ, რა გრძნობა ეუფლება დათოს?

პასუხების მიღების შემდეგ სვამს მომდევნო შეკითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა გრძნობა ეუფლება ბავშვს, რომელიც ძალადობას განიცდის თანატოლებისაგან?
- რა არის ამ ძალადობის მიზეზი?

მასწავლებელს მოჰყავს ბავშვებს შორის ფიზიკური დაპირისპირების მაგალითი, რომელიც ერთ-ერთი ბავშვის არასწორი საქციელით შეიძლება იყოს პროვოცირებული. როგორც წესი, მოსწავლეები თვლიან, რომ წამომწყები დასჯის ღირსი იყო და ამიტომ მის წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს. აქ მასწავლებელი ამბობს, რომ შესაძლებელია დასჯის ალტერნატივის გამოყენება, ისე როგორც გაკვეთილზე უკვე განხილულ სიტუაციაში. იმართება დისკუსია.

- **კიდევ რა სახის ძალადობაა გავრცელებული ბავშვებს შორის?**

სავარაუდოდ, მოსწავლეები თვითონ დაასახელებენ ბულინგს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელი თავად იტყვის, რომ სკოლებში გავრცელებულია ბულინგი და სთხოვს მოსწავლეებს ახსნან თუ როგორ ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა.

თემა 3
ბულინგი. ქცევა ძალადობის შემთხვევაში

მიზანი

მოსწავლეების გარკვევა ბულინგის არსში და დაფიქრება ბულინგის მონაწილეთა განცდებსა და მოტივებზე

ბულინგს ბევრი განმარტება აქვს. დღეს მიღებულია როლანდის (Roland, 1988) განმარტება, რომლის თანახმადაც ბულინგი არის ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა სხვა ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიყვანონ ბულინგის მაგალითები. მაგალითების განხილვისას მასწავლებელი ითვალისწინებს ბულინგის მახასიათებლებს (ძალთა ასიმეტრია, განმეორებადობა, განზრახული, მიზანმიმართული ძალადობა) და აცალკევებს ბულინგს ძალადობის სხვა მაგალითებისგან, რომლებიც მოსწავლეებმა შესაძლოა, მოიყვანონ.

მაგალითების განხილვის შემდეგ მასწავლებელი ჩამოთვლის ბულინგისათვის დამახასიათებელ ქცევებს: დამამცირებელი ზედმეტი სახელების დარქმევა, დაცინვა, ჯგუფიდან გარიყვა, უცენზურო სიტყვების დაწერა, ნივთების წართმევა, წერილობითი და სიტყვიერი შეურაცხყოფა, საერთო საქმიანობიდან გარიყვა, მუქარა, დაშინება, ხელის კვრა, მუშტებით ან ფეხით ცემა, ცილისწამება, „მსხვერპლის“ უხერხულ, არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაგდება, იძულება - იმოქმედოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

მასწავლებელი ცალკე გამოყოფს კიბერბულინგს და განმარტავს მას.

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინდივიდუალურ დავალებას.

დავალება
ბარათებზე დაწერეთ პასუხი შეკითხვებზე:
1. ყოფილხართ თუ არა ბულინგის მონაწილე ან მომსწრე?
2. თუ ყოფილხართ, მიუთითეთ ვის როლში (ბულერის, მსხვერპლის, თუ მოწმის).
ეს დავალება მისცემს საშუალებას მოსწავლეებს დაფიქრდნენ ბულინგის შემთხვევებზე მათ გარემოცვაში და თავიანთ როლზე, რომელზეც, შესაძლოა, ადრე არ უფიქრიათ.
დავალების შესრულებისთანავე მასწავლებელი აგროვებს ბარათებს (ბარათები ერთნაირი უნდა იყოს) და აძლევს სამ დავალებას ინდივიდუალურად შესასრულებლად. თითოეული დავალების შესასრულებლად ეძლევათ 5-5 წუთი. თითოეული დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ პასუხებს და იმართება დისკუსია.
დავალება 1
დაფიქრდი და ჩამოაყალიბე, რას გრძნობს ბულინგის მსხვერპლი?
დავალება 2
დაფიქრდი და ჩამოაყალიბე, რა ამოძრავებს ბულერს?
მოტივებს მასწავლებელი წერს დაფაზე.
დავალება 3
დაფიქრდი და ჩამოაყალიბე, რას გრძნობს ბულინგის მოწმე?
ჩამოთვლილ გრძნობებს მასწავლებელი წერს დაფაზე.

მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:
- გსმენიათ თუ არა გამოთქმა „არ მოექცეთ სხვებს ისე, როგორც არ გინდათ რომ მოგექცნენ თქვენ“?
- დაფიქრდით, დაფაზე ჩამოწერილთაგან რა გრძნობა არ გინდათ რომ დაგეუფლოთ? - ამ შეკითხვაზე მასწავლებელი პასუხს არ ითხოვს.
- რამდენად სწორია პასიური მოწმის საქციელი?
- თუ მიგჩნიათ, რომ ბულერი არასწორად იქცევა, რა გამოსავალს ხედავთ?

მასწავლებელმა უნდა მიიყვანოს მოსწავლეები იმ აზრამდე, რომ თუ მოსწავლე ვერ ახერხებს ან ვერ ბედავს ბულერის გადარწმუნებას, მან აუცილებლად უნდა მიმართოს უფროსს, რომელსაც ენდობა - მშობელს, მასწავლებელს, მანდატურს და ა.შ.

ქცევა ძალადობის შემთხვევაში

მიზანი

მოსწავლეთა შორის ძალადობის ხელშემწყობი ქცევის აღმოჩენა და მათი დაძლევის გზების განხილვა.
რეკომენდებულია გაკვეთილის ჩატარება დისკუსიის ფორმით. სასურველია, რომ მოსწავლეები ისხდნენ ნახევარწრედ ან წრეში, ისე, რომ ერთმანეთს ხედავდნენ.
მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს.
მასწავლებელი ხმამაღლა 2-ჯერ კითხულობს თითოეულ სიტუაციას და მოსწავლეთა პასუხებს წერს ცხრილში დაფაზე.
მაგალითების განხილვის მიზანია გაირკვეს, რამდენად სწორი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეებს ძალადობასა და საზოგადოების როლზე ძალადობის აღმოფხვრაში.
მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მათ აზრის დასაბუთება. არ არსებობს ცალსახად სწორი პასუხი. გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული ქმედების შედეგი.

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

მაგალითი 1

ზურა მე-9 კლასში სწავლობს. გაკვეთილების შემდეგ შინ მიმავალმა დაინახა, რომ სკოლის უკან მისი თანასკოლელები ჩხუბობდნენ, ხოლო რამდენიმე ბიჭი იდგა და სეირს უყურებდა. არის თუ არა ამ მაგალითში ასახული ძალადობა? აღწერეთ ზურას ქცევის ყველა შესაძლო ვარიანტი. მიუთითეთ, თქვენი აზრით, რომელია სწორი და არასწორი საქციელი?

მაგალითი 2

კლასში ახალი მოსწავლე გადმოვიდა – ანა. მან სცადა ურთიერთობა დაემყარებინა თანაკლასელებთან. „ვისაც ჩემთან მეგობრობა გინდათ, მასთან არ იმეგობროთ“, – განაცხადა ნათიამ, რომელიც კლასის ლიდერად ითვლებოდა. არის თუ არა ამ მაგალითში ასახული ძალადობა? აღწერეთ ანასა და ნათიას თანაკლასელთა ქცევის ყველა შესაძლო ვარიანტი. მიუთითეთ, თქვენი აზრით, რომელია სწორი და არასწორი საქციელი?

მაგალითი 3

მეზობლის ბინიდან ქალის ყვირილი და ბავშვის ტირილის ხმა ისმოდა. ცხადი იყო, რომ დედა ბავშვს უჯავრდებოდა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. არის თუ არა ამ მაგალითში ასახული ძალადობა? აღწერეთ მეზობლების ქცევის ყველა შესაძლო ვარიანტი. მიუთითეთ, თქვენი აზრით, რომელია მეზობლების სწორი და არასწორი საქციელი?

მაგალითი 4

მე-8 კლასელ გოგონას მშობლები ძალით უპირებენ გათხოვებას, რა შეუძლია გოგონას მოიმოქმედოს? არის თუ არა ამ მაგალითში ასახული ძალადობა?

მაგალითი 5

ზაზა ელექტრონული ფოსტითა და სოციალურ ქსელში იღებს დამცინავ შეტყობინებებს. არის თუ არა ამ მაგალითში ასახული ძალადობა? როგორ უნდა მოიქცეს ზაზა?

მასწავლებელი მოკლედ წერს მოსწავლეთა პასუხებს ცხრილში:

N	სწორია	არ არის სწორი	არ ვარ დარწმუნებული

მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ ვისთვის მიმართვას ამჯობინებენ ბავშვები. თუ პირველ ადგილებზე მშობელი და მასწავლებელია, ეს მათდამი ნდობაზე მიუთითებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ბავშვები თვლიდნენ, რომ პრობლემები თავად უნდა გადაჭრან.

შესაძლებელია, რომ მასწავლებელი არ იზიარებდეს მოსწავლეთა აზრს. არ არის ამის თქმა საჭირო. ყველა პასუხი უნდა ჩაიწეროს. შესაძლოა, რომ ერთი და იგივე საქციელი ზოგს სწორად მიაჩნდეს, ზოგს არასწორად. ასეთი პასუხები ორივე სვეტში იწერება.

ყველა სიტუაციის განხილვის შემდეგ მასწავლებელი უნდა მიუბრუნდეს ცხრილს. ჰკითხოს მოსწავლეებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულ ქმედებას. არ არის გამორიცხული, რომ მოსწავლეები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, ან შეიცვალონ აზრი მსჯელობის შედეგად.

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

მასწავლებელმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ყველა სიტუაციაში ძალადობაა ასახული. მან ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებაში მიღებულ შეხედულებებს, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობას, როგორებიცაა, მაგალითად: მშობლის მიერ ბავშვზე ძალადობა ოჯახის საქმეა და ჩარევა არ შეიძლება; ყვირილი ძალადობა არ არის, მსუბუქი წამორტყმა ძალადობა არ არის.

❶–ლი მაგალითის ირგვლივ დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, რომელიც ეყრდნობა შემდეგს: ძალადობას მოაქვს მძიმე შედეგი, არავის აქვს უფლება იძალადოს ბავშვზე, ძალადობა უნდა აღმოიფხვრას, სკოლის მოვალეობაა დაიცვას ბავშვი ძალადობისგან.

მე– ❷ მაგალითის ირგვლივ დისკუსიისას, თუ ბულინგის საკითხი არ წამოიჭრება, მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს მოსწავლეებს, რა შემთხვევაში შეიძლება ეს ერთჯერადი ძალადობა (შეურაცხყოფა) გადაიზარდოს ბულინგში (თუ მოსწავლეები მიიღებენ ნათიას პირობას)?

მე– ❸ მაგალითის ირგვლივ დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, რომელიც ეყრდნობა შემდეგს: ძალადობას მოაქვს მძიმე შედეგი, არავის აქვს უფლება იძალადოს ბავშვზე, ძალადობა უნდა აღმოიფხვრას.

მე– ❹ მაგალითში ძალადობა არის და გოგონას შეუძლია მიმართოს სოციალურ მუშაკს ან მასწავლებელს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს სოციალურ მუშაკს. მასწავლებელს შეუძლია, აგრეთვე, განუმარტოს მშობლებს, რომ ნაადრევი ქორწინება კანონდარღვევაა და მას არასახარბიელო შედეგი მოჰყვება.

მე– ❺ მაგალითი არის კიბერბულინგის შემთხვევა. ზაზამ ეს აუცილებლად უნდა უთხრას მშობლებს და დაბლოკოს შეტყობინების გამომგზავნი.
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს განიხილონ მოსწავლის მასალაში მოცემული ცხრილის მარჯვენა სვეტში შეთავაზებული ის გამონათქვამები, რომლებიც არ გამოიკვეთა სიტუაციების განხილვისას.

თემა 4
ვინ შეიძლება დაიცვას ბავშვი ძალადობისგან?

მიზანი

მოსწავლეების ინფორმიება ბავშვთა დაცვისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს. ის სთხოვს მათ გაიხსენონ წინა გაკვეთილზე განხილული სიტუაციები და მოიფიქრონ, ვინ და როგორ შეიძლება დაიცვას ბავშვი ძალადობისგან თითოეულ შემთხვევაში. დასახელებული ორგანიზაციები ან პირები უნდა ჩამოიწეროს დაფაზე.

წინა გაკვეთილზე განხილულ ყველა მაგალითში ძალადობაა ასახული. ნებისმიერს ამ შემთხვევათაგან შესაძლოა მოჰყვეს სავალალო შედეგი, ამიტომ საჭიროა სწორი რეაგირება.

კონფლიქტს სხვადასხვა განმარტება აქვს, ერთ-ერთი განმარტების თანახმად, კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის ინტერესების, შეხედულებების დაპირისპირება, რეალური ანდა წარმოსახული.
შეკითხვები:
- რა ტიპის კონფლიქტებს იცნობთ?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ?

ბავშვებთან გამოსაყენებელი მომდევნო აქტივობების მიზნები მათ წინასწარ არ უნდა იცოდნენ[4].

თემა 5
კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზები

მიზანი

მოსწავლეებისათვის კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზებს გაცნობა

მასწავლებელი სვამს შეკითხვას:
- როგორ განმარტავდით კონფლიქტს?

მასწავლებელი ცდილობს ყველასგან მიიღოს პასუხი.
მოსწავლეთა მიერ დასახელებულ „დამცველთა“ ჩამონათვალს მასწავლებელი ავსებს კომენტარებით რეფერირების დოკუმენტის დახმარებით.
შეკითხვა:
- რა შემთხვევაში შეძლებენ ბავშვის დაცვას ისინი, ვისაც ეს ევალება? (პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ შესაბამისი ინფორმაცია.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობა კონფიდენციალურია, ხოლო ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება კანონით. ბოლოს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ განათლების სამინისტროს ვებგვერდზე მოცემული განცხადება (მოსწავლის მასალა, გვ. 7).

აქტივობა 1

მიზნად ისახავს აჩვენოს მოსწავლეებს, რომ ყველას შეიძლება თავისი აზრი ჰქონდეს ერთსა და იმავე საკითხზე.
მასწავლებელი წერს დაფაზე ოთხი სხვადასხვა ცხოველის სახელს. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს აირჩიონ ის, რომელიც თითოეულ მათგანს მოსწონს და დაჯგუფდნენ არჩეული ცხოველების მიხედვით. თითოეულმა ჯგუფმა უნდა ჩამოწეროს იმ ცხოველის თვისებები, რომლებიც მოსწონთ ჯგუფის წევრებს. მათ, აგრეთვე, უნდა ჩამოწერონ დანარჩენი სამი ცხოველის სახელი და აღნიშნონ, თუ რატომ არ აირჩიეს ისინი.
ეს აჩვენებს მოსწავლეებს (და მასწავლებელსაც), თუ რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ ადამიანები ერთსა და იმავეს. ხშირად, სწორედ ეს ხდება კონფლიქტის მიზეზი.

[4]აღწერილი და ანალოგიური აქტივობების გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება.

აქტივობა 2

მიზნად ისახავს აჩვენოს მოსწავლეებს, რომ ადამიანებს სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ინტერესები აქვთ.
სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებელი აძლევს (წინასწარ) მოსწავლეებს დავალებას: წარმოიდგინონ, რომ წვეულების მოწყობის შეუზღუდავი საშუალება აქვთ და დაწერონ, რას გააკეთებდნენ.
ეს ნამუშევრები (სახელებისა და გვარების მითითების გარეშე) განიხილეთ მოსწავლეებთან. არ არის აუცილებელი ყველა ნამუშევრის განხილვა. მთავარია, თითოეული საფეხურის მახასიათებელი გამოყოთ.
მოსწავლეები ამგვარად დაინახავენ, რომ ბუნებრივია სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ჰქონდეთ როგორც საერთო, ისე განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები. ამ განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ცხოვრებისეული გამოცდილებაც არის, სწორედ ამიტომ, ბავშვებსა და მათ მშობლებს აქვთ როგორც განსხვავებული, ისე საერთო ინტერესები და შეხედულებები.

აქტივობა 3

გავაცნოთ მოსწავლეებს სქემა გამარჯვება/გამარჯვება
სთხოვეთ მოსწავლეებს:
- აღწერონ, თუ რას გრძნობენ, როცა ვინმეს აქვს მათზე ძალაუფლება.
- ისაუბრონ, თუ როგორ შეიძლება მოიქცნენ ასეთ დროს.

სავარაუდო პასუხებია:
- უმწეობა, გაბრაზება, დაჩაგრულობა, შფოთვა, თვითშეფასების დაქვეითება.
- შურისძიება, ჩუმი წინააღმდეგობა, აჯანყება, გაქცევა.

ეს სავარჯიშო კლასში სქემა „გამარჯვება/გამარჯვების“ განხილვის საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები მივიდნენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის აუცილებლობის დასკვნამდე.
ჩვენს საზოგადოებაში არსებობს კონფლიქტის მოგვარების ისეთი სისტემები, როგორებიცაა სასამართლო, პოლიცია... გარდა ამისა, მხარეები მიმართავენ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ „არაფორმალურ“ ინსტიტუტებსაც.
კონფლიქტის მოგვარება, შესაძლოა მესამე - ნეიტრალური მხარის მონაწილეობითაც მოხდეს (მედიაცია, ფასილიტაცია და ა.შ.)
სასურველია, ადამიანი გარედან არ ელოდეს კონფლიქტის მოგვარებას, არამედ თვითონ იაქტიუროს და შეეცადოს დაძლიოს პრობლემური სიტუაცია.
საზოგადოებაში კონფლიქტების სრული მოსპობა შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია მათი მართვის სწავლა (საჭიროების შემთხვევაში თავიდან აცილება).
შეკითხვები:
- არსებობს თუ არა გამოუვალი კონფლიქტური სიტუაცია და გადაუჭრელი პრობლემა?
- შესაძლებელია თუ არა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღწევა?

ამ შეკითხვების ირგვლივ მსჯელობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ძირითად პრინციპებს (სასურველია, აჩვენოს ეკრანზე ან მომზადებული ჰქონდეს თვალსაჩინოება დიდი ფორმატის ქაღალდზე).

მეთოდური მითითებები მოსწავლეებთან ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის

კონფლიქტის მოგვარებისათვის გასათვალისწინებელია ძირითადი პრინციპები:

1. არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია და გადაუჭრელი პრობლემა.
2. ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღწევა შესაძლებელია.
3. პრობლემის მოგვარებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური კმაყოფილება.
4. პრობლემური სიტუაციის მოგვარების გზა სწორად, სიტუაციის შესატყვისად უნდა იყოს შერჩეული.

ჯგუფური მუშაობა

5 ჯგუფში განიხილეთ თითო სიტუაცია და მოიფიქრეთ კონფლიქტური სიტუაციის გაგრძელების ყველა შესაძლო ვარიანტი. რომელი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

1 საბა მე-10 კლასში სწავლობს. მას გრძელი თმა აქვს. ერთხელ, ავტობუსით მგზავრობისას, მას უცხო, ხანში შესულმა ქალმა მიმართა: „რას ჰგავხართ ახლანდელი ახალგაზრდები? ვერ გაიგებს ადამიანი, ბიჭი მოდის თუ გოგონა!“

2 ქეთევანი სკოლიდან შინ განერვიულებული დაბრუნდა. სკოლაში მას უსიამოვნება შეხვდა. დედამ სადილად დაუძახა, მან კი უხეშად უპასუხა და არ მივიდა მაგიდასთან. დედას ეწყინა. ოჯახის დანარჩენ წევრებსაც არ ესიამოვნათ ქეთევანის ასეთი საქციელი. ვითარება დაიძაბა.

3 სკოლას ერთი სტადიონი აქვს. ორშაბათსა და ოთხშაბათს გაკვეთილების შემდეგ მე-9 კლასის მოსწავლეები თამაშობენ ფეხბურთს, ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათს - მე-10 კლასელები. პარასკევს ორივე კლასს უნდა თამაში.

4 A და B ტურისტული კომპანია ერთ ქალაქში ჩამოყალიბდა. თითოეული მათგანი ცდილობს მეტი ტურისტი მიიზიდოს.

5 A და B ნაკვეთების საზღვარზე გადის არხი. ის დროდადრო ბინძურდება და აზიანებს ხან ერთ ნაკვეთს, ხან მეორეს. არხის გაწმენდა შრომატევადი საქმეა. თითოეული ნაკვეთის პატრონი თვლის, რომ არხი მეზობელმა უნდა გაწმინდოს.

განმარტებები მასწავლებლისათვის

1 ვინაიდან საბას არაფერი აკავშირებს ქალთან, **გაცლა** საუკეთესო სტრატეგიაა, რათა არ მოხდეს კონფლიქტის ესკალაცია.

2 ვინაიდან კონფლიქტი ოჯახში მოხდა, **შეგუება** საუკეთესო სტრატეგიაა ურთიერთობის შესანარჩუნებლად. შეგუებაში იგულისხმება, რომ არავინ მოახდინოს მყისიერი რეაგირება ქეთევანის საქციელზე და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, როცა ქეთევანი დაწყნარდება, დედა ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრი დაელაპარაკოს მას, გაარკვიოს რა აწუხებს, რითი შეუძლია დახმარება. შეგუება არ უნდა იყოს სისტემატური ხასიათის.

3 **კომპრომისი** საუკეთესო სტრატეგიაა. მხარეები შუალედურ ფასზე რიგდებიან.

4 ეს არის **კონკურენციის** საუკეთესო მაგალითი, როცა მხარეებს არ ადარდებთ ერთმანეთთან ურთიერთობა და მხოლოდ საქმეზე ფიქრობენ.

5 საუკეთესო გამოსავალი **თანამშრომლობა** იქნებოდა. მეზობლები ერთად გაწმენდნენ არხს, ამით შეუმსუბუქებდნენ ერთმანეთს შრომას და ზიანსაც აიცილებდნენ თავიდან.

თითოეული სიტუაციის განხილვის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს შესაბამისი სტრატეგია.
არსებობს კონფლიქტის გადაჭრის ზოგადი მოდელები.
კონფლიქტის გადაჭრის ექვსეტაპიანი მოდელის გასაცნობად მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ სიტუაციას:
მე-11 კლასის მოსწავლეები აპირებენ, რომ შაბათ-კვირას ორდღიან ექსკურსიაზე წავიდნენ. ცნობილი გახდა, რომ კვირას პოპულარული მომღერლის კონცერტი იმართება. მოსწავლეთა ნაწილს ამ კონცერტზე წასვლაც უნდა და ითხოვს ექსკურსიის გადადებას, ხოლო მეორე ნაწილს არ უნდა ექსკურსიის გადადება, ვინაიდან დასასვენებლად მიემგზავრებიან.

ექვსეტაპიან მოდელს მასწავლებელი ცხრილის სახით აწვდის მოსწავლეებს, სთხოვს გაიყონ ორ ჯგუფად (კონფლიქტის მხარეებად) და იმსჯელონ სქემიდან გამომდინარე. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ გამოსავალი. სავარჯიშო სრულდება კლასში ერთობლივად.
კონფლიქტის გადაჭრის ექვსეტაპიანი მიდგომა/მოდელი:

1. მხარეთა მოთხოვნების განსაზღვრა.
2. კონფლიქტის არსი (რა ქმნის კონფლიქტს?).
3. კონფლიქტის არსის განსაზღვრა.
4. გადაჭრის გზების შეფასება მხარეების მიერ (მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა).
5. კონფლიქტის გადაჭრის გზის არჩევა.
6. კონფლიქტის გადაჭრის ეფექტიანობის გაანალიზება.

მსჯელობის საფუძველზე ივსება ცხრილი:
ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი გადაწყვეტილებები.

მ ხ ა რ ე თ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი	
მხარე 1	მხარე 2
2. კონფლიქტის არსი (რა ქმნის კონფლიქტს?)	
3. კონფლიქტის გადაჭრის სხვადასხვა გზის მოძებნა	
4. გადაჭრის გზების შეფასება მხარეების მიერ (მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა)	
მხარე 1	მხარე 2
5. კონფლიქტის გადაჭრის გზის არჩევა	
6. კონფლიქტის გადაჭრის ეფექტიანობის გაანალიზება	

აგრეთვე შეგიძლიათ მოსწავლეებს გააცნოთ კონფლიქტის გადაჭრის ოთხი ნაბიჯი და სთხოვოთ დაფიქრდნენ, რა არის საერთო ამ ორ მიდგომას შორის.
ეს ნაბიჯებია:

1

იგნორირება
- გაცლა რეაგირების ნაცვლად
- ტაიმაუტის აღება მშვიდად დასაფიქრებლად (შენიშვნა: ტაიმაუტი არ უნდა იყოს ხანგრძლივი)

2

საუბარი კონფლიქტში ჩაბმულ ყველა პირთან
- გაუზიარეთ რას გრძნობთ თქვენ და მოუსმინეთ რას გრძნობენ ისინი
- აიღეთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა შექმნილ კონფლიქტში
- გაუზიარეთ რის გაკეთებას აპირებთ

3

დათანხმდით გადაწყვეტაზე „გამარჯვება-გამარჯვება“
- ჩამოწერეთ იდეები
- აირჩიეთ ისეთი, რომელიც ყველასათვის მისაღებია

4

განიხილეთ პრობლემა კლასის კრებაზე
- გაიარეთ კონსულტაცია ყველასთან
- ყველასაგან შეაგროვეთ იდეები

ამის შემდეგ კი მხარეებმა უნდა დაინახონ თავისი დანაშაული, გამოავლინონ მზადყოფნა ბოდიშის მოსახდელად და ორიენტირებული იყვნენ პრობლემის გადაჭრასა და არა ერთმანეთის დადანაშაულებაზე.
შეკითხვა:
რა არის საერთო ამ ორ მიდგომას შორის? (პასუხი: საერთო არის კომუნიკაციის აუცილებლობა).
მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას:

გამოიკვლიეთ სკოლაში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები. შექმენით პროექტი ამ პრობლემის გადასაჭრელად.

დანართი

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული ---------- სკოლის შიდა ინსტრუქცია

მუხლი 1. ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის რეგულირების სფერო

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული ----------სკოლის (შემდგომში - სკოლა) შიდა ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) არეგულირებს ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლ ბავშვსა და მოწმეებთან ადგილზე გასაუბრებისა და შემთხვევის გაანალიზების, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას პოლიციისა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ინფორმირების წესს.

მუხლი 2. ინსტრუქციის სამართლებრივი საფუძვლები

ამ ინსტრუქციის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (შემდგომში - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები) და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. სკოლის უფლებამოსილება და ვალდებულება

1. ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით სკოლა:

ა) ვალდებულია გამოავლინოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა;

ბ) უფლებამოსილია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში უზრუნველყოს პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირება;

გ) ვალდებულია სააგენტოსთან თანამშრომლობით აწარმოოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

2. სკოლა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას და ვალდებულებების შესასრულებლად ხელმძღვანელობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და ამ

მუხლი 4. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და ამ ინსტრუქციის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და ამ ინსტრუქციის დაცვის მიზნით, სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და ამ ინსტრუქციის დაცვაზე უფლებამოსილ პირს (შემდგომში - უფლებამოსილი პირი), რომელიც უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური (შემდგომში - მანდატური), ხოლო მანდატურის არარსებობის შემთხვევაში სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

მუხლი 5. ბავშვზე ძალადობის ეჭვი

1. ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);

ბ) ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);

გ) ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის სკოლაში;

დ) ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;

ე) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვის ძალადობაზე.

2. რეფერირების პროცედურების მიზნებისათვის საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

ა) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბ) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

გ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:

დ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;

დ.ბ) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;

დ.გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;

დ.დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;

დ.ე) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

ე) სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

მუხლი 6. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

1. სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია მიმართოს უფლებამოსილ პირს.
2. უფლებამოსილი პირი ვალდებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმოს ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოოს შემთხვევის მართვა, რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების და ამ ინსტრუქციის მიხედვით.
3. ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი, აწარმოებს ფაქტის შესწავლას, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.
4. უფლებამოსილი პირი, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, ვალდებულია შეავსოს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ვალდებულია ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით.
5. უფლებამოსილი პირი, ამ ინსტრუქციის შესაბამისად, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გაესაუბრება სავარაუდო მსხვერპლ ბავშვსა და მოწმეებს და მოახდენს შემთხვევის გაანალიზებას, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას უზრუნველყოფს პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირებას. სააგენტოს ინფორმირება ხდება ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის ან/და „ცხელი ხაზის“ მეშვეობით.

მუხლი 7. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა

1. სკოლა ვალდებულია ჩაერთოს სააგენტოს მიერ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის წარმოების პროცესში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით სკოლა ვალდებულია:
ა) სააგენტოსთან შეთანხმებით, თვალყური ადევნოს ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდონ სააგენტოს სოციალურ მუშაკს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს:
ა.ა) ბავშვის საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას;
ა.ბ) ბავშვის აკადემიურ მოსწრებას;
ა.გ) ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს;
ა.დ) ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;
ა.ე) მონაცემებს სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ;
ბ) მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები და სკოლა გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.

მუხლი 8. ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში და ინფორმაციის კონფიდენციალურობა

1. რეფერირების პროცედურების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტებს შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობითი ფორმით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

2. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ბავშვის მშობლისათვის/მშობლებისათვის და კანონიერი წარმომადგენლისათვის, თუ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ბავშვის მშობლებს ან შესაბამის მშობელს არ აქვთ/აქვს შეზღუდული ან ჩამორთმეული მშობლის უფლება.

მუხლი 9. ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა

სკოლის ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას

გამოყენებული ლიტერატურა

1. ძალადობა ბავშვების მიმართ - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა, ადაპტირებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007

2. " საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა" (2007-2008) გაეროს ბავშვთა ფონდი

3. „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში" ანგარიში. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013

4. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა". საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის სპეციალური ანგარიში, 2017

5. ანტი-ბულინგური პროგრამა სკოლაში, პროგრამა მოზარდებისათვის, მაია ცირამუა, თბილისი, 2018

6. Kyle Aken,Using Positive Discipline Techniques in the Classroom, December 2016

7. დევიდ კატლერი, 8 რჩევა მშობლებთან ურთიერთობისათვის, 2014

8. Sylvie Garsaud, La resolusion des conflits, une demarche a 4 etapes

http://www.csdecou.qc.ca/primeveres/files/2013/05/Une_de marche_en_qua tre_etapes.pdf

9. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კ ო დ ე ქ ს ი, თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი

10. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, N3143, 25/05/2006

11. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი

დაასრულე ძალადობა